საკანონმდებლო მაცნე

სექტემბერი 2023
[NO.9] www.bdo.ge

ცვლილება ბრძანებაში

შინაარსი

- ცვლილება ბრძანებაში დაქირავებულ პირთა რეესტრის შესახებ
- ცვლილებები გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების უფლების შესახებ
- ცვლილება ბრძანებაში გადასახადების ადმინისტრირების შესახებ

დაქირავებულ პირთა რეესტრში დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობისთვის დაწესებული ფულადი ჯარიმის ნაცვლად გაფრთხილების გამოყენება

2023 წლის 9 აგვისტოს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №14559, რომლის თანახმადაც ცვლილება შევიდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 11 აპრილის №9021 ბრძანებაში „საგადასახადო ორგანოს მიერ ცალკეული ღონისძიებების განხორციელების შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“.

ცვლილების შედეგად, მეთოდურ მითითებას დაემატა ახალი პუნქტი და დანართი, რომელიც ეხება საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევის- დაქირავებულ პირთა რეესტრში დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობისთვის (288^5 მუხლი) ფულადი ჯარიმის ნაცვლად გაფრთხილების გამოყენების შესახებ ღონისძიებებს.

მოგეხსენებათ, სსკ-ის 288^5 მუხლის თანახმად, პირის მიერ დაქირავებულ პირთა რეესტრში დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა იწვევს პირის დაჯარიმებას ყოველ დაქირავებულ პირზე 200 ლარის ოდენობით.

ცვლილების შედეგად კი აღნიშნულ ბრძანებაში დამტკიცდა ახალი დანართი №5, რომლის თანახმადაც, დაქირავებულ პირთა რეესტრში დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობისთვის აღნიშნული სანქციის ნაცვლად, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ გამოიყენება გაფრთხილება, თუ ერთდროულად დაკმაყოფილდება შემდეგი პირობები:

- დაქირავებულ პირთა რეესტრში დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობის ფაქტის გამოვლენის თარიღის წინა დღის მდგომარეობით 12 კალენდარული თვის განმავლობაში, იმავე ქმედების ჩადენისათვის, პირს პასუხისმგებლობა დაკისრებული არ ჰქონია;
- იმ დაქირავებულ პირზე, რომელზე ინფორმაცია არ არის წარდგენილი დაქირავებულ პირთა რეესტრში, გაცემული შრომის ანაზღაურების თანხები და დაკავებული გადასახადი ასახულია პირის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილ გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის ბოლო ორი საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში.

ბრძანება ძალაშია 2023 წლის 1 ივლისიდან.

„გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების უფლების შესახებ“ ცნობის გაცემის ღონისძიებები

2023 წლის 11 აგვისტოს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №19617, რომლის თანახმადაც ცვლილება შევიდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 11 აპრილის №9021 ბრძანებაში „საგადასახადო ორგანოს მიერ ცალკეული ღონისძიებების განხორციელების შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“.

ცვლილების შედეგად აღნიშნულ ბრძანებაში დამტკიცდა ახალი დანართი №6, რომელიც ეხება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული შეღავათის გამოყენების მიზნით, საგადასახადო ორგანოს მიერ „გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების უფლების შესახებ“ ცნობის გაცემის ღონისძიებებს.

მოგეხსნებათ, აღნიშნული მუხლის თანხმად, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება: ომის ვეტერანის, მარტოხელა მშობლის, ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის და სხვა განსაზღვრული პირების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3,000 ან/და 6,000 ლარამდე.

ცვლილების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირი (დაქირავებული) იცვლის სამუშაო ადგილს ან სურვილი აქვს სხვა დამქირავებელთან გამოიყენოს ზემოთ ხსენებული შეღავათი და ახალი ცნობის ასაღებად საგადასახადო ორგანოს წინა დამქირავებლის მიერ არ წარედგინა შეტყობინება გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების უფლების შეწყვეტის თაობაზე, მომსახურების დეპარტამენტი გასცემს ახალ ცნობას, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება ცვლილებებს, ბრძანებაში დაქირავებულ პირთა რეესტრის შესახებ, ასევე გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების უფლების შესახებ და ბრძანებაში გადასახადების ადმინისტრირების შესახებ.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

▸ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

- შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მონაცემებით, პირს, ბოლო 12 თვის განმავლობაში, არ უფიქსირდება საგადასახადო ორგანოსთვის საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენა და საგადასახადო დოკუმენტის გამოწერა;
- წინა დამქირავებელს ორჯერ მაინც გაეგზავნა დოკუმენტი, წერილობითი ფორმით, გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების უფლების შეწყვეტის თაობაზე შეტყობინების საგადასახადო ორგანოში წარდგენის შესახებ, და ადრესატისთვის მისი ჩაბარება ვერ მოხერხდა.

„გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების უფლების შესახებ“ ახალი ცნობის გაცემისთანავე, ძალადაკარგულად ცხადდება წინა დამქირავებელთან წარდგენილი იმავე შინაარსის ცნობა.

ბრძანება ძალაშია 2023 წლის 10 აგვისტოდან.

საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შემთხვევაში დასაბეგრი თანხის ოდენობა

2023 წლის 15 აგვისტოს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №300, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

ცვლილების შედეგად, აღნიშნულ ბრძანებას დაემატა ახალი 48[3] მუხლი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა, რომ გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის ფარგლებში თითოეული მხარისათვის დღგ-ით დასაბეგრ თანხას წარმოადგენს მისაღები საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი დღგ-ის გარეშე. ასევე, აღნიშნულ მუხლს თან ერთვის ახალი საილუსტრაციო მაგალითი მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის გაცვლის პირობით.

ბრძანება ძალაშია 2023 წლის 16 აგვისტოდან.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის - “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში. ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.